პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო კ ო ლ ე გ ე ბ ო!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი იწყებს მასალების მიღებას **თსსუ-ის 2026 წლის სამეცნიერო შრომათა კრებულში პუბლიკაციისთვის (ტომი 60).**

გამოსაქვეყნებლად მიიღება თსსუ-ის აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის ავტორობით/თანაავტორობით შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები (მიმოხილვითი, ან ორიგინალური სამეცნიერო სტატია, შემთხვევის აღწერა, სხვ.). შეგახსენებთ, რომ წარმოდგენილ მასალაში (ორიგინალური სტატია) მკაფიოდ უნდა იყოს ასახული გამოკვლეული საკითხის/პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა და კვლევის საგნის აქტუალობა, კვლევის მიზანი, ამოცანები, კვლევის ტიპი, დიზაინი, მეთოდები, შედეგების სარწმუნობის დასადგენი კრიტერიუმები, შედეგები, მათი ინტერპრეტაცია და დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. მიმოხილვითი და/ან შემთხვევის აღწერის ამსახველი სტატია უნდა შეესაბამებოდეს ამგვარი პუბლიკაციებისადმი დადგენილ სტანდარტებს. სტატიები მიიღება ქართულ, ან ინგლისურ ენაზე; სტატიას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე ინგლისურ და ქართულ ენებზე (თითოეული - 1000 სასტამბო ნიშნის მოცულობით მაინც; ქართულენოვანი რეზიუმე - ქართული რეფერატული ჟურნალისათვის (ქრჟ). სტატიის და ინგლისურენოვანი რეზიუმეს მოცულობა (ჯამურად) არ უნდა აღემატებოდეს 7 გვერდს (ფორმატი A 4; Microsoft Word; შრიფტი: ქართული ტექსტისთვის - AcadNusx, ინგლისური ტექსტისთვის - TimesNewRoman, ზომა - 12, სტრიქონებს შორის ინტერვალი – 1,15); სტატიის საილუსტრაციო ფოტო, ასეთის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნას დამოუკიდებელ ფაილად “jpg” ფორმატში (რეზოლუცია - 250-300 dpi), ხოლო დიაგრამები – Excel-ფაილში.

კრებულში დასაბეჭდ ნაშრომთა რაოდენობა შეზღუდულია. კრებულში ერთმა ავტორმა შეიძლება გამოაქვეყნოს არაუმეტეს სამი სტატიისა, ხოლო ერთი სტატიის ავტორთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთს. გადაწყვეტილებას წარმოდგენილი მასალის კრებულში პუბლიკაციის შესახებ, რეცენზირების შემდგომ, მიიღებს კრებულის სარედაქციო კოლეგია.

გთხოვთ, სტატია/-ები, ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვით, წარმოადგინოთ თსსუ-ის სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტში (მეორე სართული, ოთ. ##221, 212) **2027 წლის 8 თებერვლამდე** (ჩათვლით) შემდეგი სახით: **1 ნაბეჭდი ეგზემპლარი, მისი ელექტრონული ვერსია CD-ზე, ინფორმაციის ნებისმიერ სხვა მატარებელზე, ან გამოგზავნილი e-mail-ით** (irma@tsmu.edu). სტატია ვიზირებული უნდა იყოს შესაბამისი დეპარტამენტის/ლაბორატორიის/სტრუქტურის ხელმძღვანელის მიერ (მისი თანაავტორობის მიუხედავად).

გთხოვთ, მიუთითოთ ავტორთა საკონტაქტო ტელეფონები და e-mail- მისამართი.

გთხოვთ, სტატიის “ქუდი” გააფორმოთ ქვემოთ მოცემული თანმიმდევრობით:

ავტორის / ავტორთა გვარი, სახელი

ს ა თ ა უ რ ი

ორგანიზაცია / სტრუქტურა, სადაც შესრულდა ნაშრომი



1/11/2026